

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნა 2019 წლის 31 2018 წლის 31 2018 წლის 01
დეკემბერი დეკემბერი იანვარი

აქტივები


გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	2160454	2351512	2496247
არამატერიალური აქტივები	256	0	13
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	3106124	2176237	1918062
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	110194	92943	57326
გადახდილი ავანსები	364613	106449	339382
სხვა მიმდინარე აქტივები	44963	38100	22430
სხვა	60468	55861	48098
ფული საღაროში და საბანკო ანგარიშზე	357802	75712	476150
სულ აქტივები	6204874	4896814	5357708

კაპიტალი და ვალდებულებები

კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	2000	2000	2000
გაუნაწილებელი მოგება	2153223	1603422	838575
სულ კაპიტალი და რეზერვები	2155223	1605422	840575
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	3715709	2962879	4437769
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	0	0	0
მოკლევადიანი სესხი	298029	228975	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	35913	99538	79364
სულ ვალდებულებები	4049651	3291392	4517133
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	6204874	4896814	5357708

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 17 სექტემბერი

დავით რაზმაძე
შპს დე სპორტი-ს გენერალური
დირექტორი



მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან	4397389	4003038
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	178772	134576
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	2349816	2099584
საერთო მოგება	2226345	2038030
სხვა შემოსავალი	39589	60361
საკუროსო სხვაობა	-87988	39284
შრომის ანაზღაურება	465387	509610
ცვეთა და ამორტიზაცია	229417	220495
საპროცენტო ხარჯი	313740	180218
იჯარის ხარჯი	0	174
საოპერაციო ხარჯი	251308	249890
მოგების გადასახადის ხარჯი	1570	935
სხვა ხარჯი	7319	1506
წმინდა მოგება	909205	974847

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 17 სექტემბერს

დავით რაზმაძე
შპს დე სპორტი-ს გენერალური
დირექტორი



კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
საკუთარი კაპიტალის პერიოდის საწყისი ნაშთი	1605018	840575
წლის მოგება	909205	974847
განაწილებული დივიდენდი	359000	210000
		-404

საკუთარი კაპიტალი საანგარიშო
წლის ბოლოს

2155223

1605018

მარაგების ცვლილების ანგარიშგება

	2018 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
მარაგები წლის დასაწყისში	2232098	1966160
წლის მანძილზე შეძენილი მარაგები	3330567	2365522
რეალიზებული საქონელი	2396073	2099584
მარაგები საანგარიშო წლის ბოლოსთვის	3166592	2232098

ფკაპიტალის ცვლილებისა და მარაგების ცვლილების ანგარიშგება დადასტურებულია
2020 წლის 17 სექტემბერს

დავით რაზმაძე
შპს დვ სპორტი-ს გენერალური
დირექტორი



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საჭმთანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება დვ სპორტი (კომპანია) დარეგისტრირებულია მისამართზე: თბილისი, თოიძის ქ.2/10 (ძველი თბილისის უბანი).

შპს დვ სპორტი-ს 50% მფლობელი არის ბ-ნი დავიტ რაზმაძე და 50% მფლობელი ბ-ნი ვახტანგ ლაშხი.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 31 თანამშრომელს .

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია.

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც

2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის 3.2095 ლარს,. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა,რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს,გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით,იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან,განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება.

3.3 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია.

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომელებიც გათვალისწინებულია გასაყიდათ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია კომპანიის მომსახურებისთვის და მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან .

3.5 ფინანსური ინსტრუმენტი

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღებისას იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული დაიფარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშზე.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს. (2018 წლის მოგების გადასახადში მოხდა შესწორება და 404 ლარით წმინდა მოგება შემცირდა, რის გამოც საკუთარი კაპიტალის ნაშთი 2019 წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 1605018 ლარს. აცვლად 1605422 ლარისა.)

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში

რჩებოდა მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება(დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომლებიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროცენტით.

3.8 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს ,როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;

კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;

შემოსავალი საიმედოთ შეიძლება შეფასდეს;

როცა შესაძლოა , რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში;

ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოთ იქნეს შეფასებული.

3.9 სესხები

საბანკო სესხის ვადიანობა 1-დან 10 წლამდე, საპროცენტო განაკვეთი წლიური 5.5%-ს(ეფექტური 5.64%) შეადგენს. საპროცენტო განაკვეთის ცვლილება მოხდა 2019 წლის 10 ოქტომბრიდან. 2019 წლის 10 ოქტომბრამდე საპროცენტო განაკვეთი იყო 6.0%.

საბანკო სესხები გაიცემა გენერალური საკრედიტო ხაზის შეთანხმების ფარგლებში და უზრუნველყოფილია მარაგებით, და უძრავ-მოძრავი ქონებით.

4. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

ანგარიშის წარდგენის შემდგომ ისეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია, რომლებიც გავლენას მოახდენდა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე.

5. დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ საერთო მოგების მარჟა გააგრძელებს ზრდას და მიაღწევს განსაზღვრულ მნიშვნელობას. ეს ვარაუდი ეფუძნება კომპანიის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

კომპანია არ არის დაცული სავალუტო რისკისაგან და საპროცენტო რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია საოპერაციო საქმიანობიდან.

კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტაში გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, გამოვლინდება საკურსო სხვაობებით წარმოქმნილი მერყეობა.

კომპანიის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობის რისკი გამოწვეულია სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს.

კომპანია ახორციელებს გონივრულ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიამ დროულად გადაიხადოს საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება: საკუთარი კაპიტალისგან, რომელიც მოიცავს საწესდებო კაპიტალსა და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს.

დავით რაზმაძე
შპს დე სპორტი-ს გენერალური
დირექტორი

